ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი N

ქ. თბილისი „29" აგვისტო 2016წ.

ერთი მხრივ, **სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი" (შემდგომში „კოლეჯი")** მის: მცხეთის, რაიონი, სოფ. წინამძღვრიაანთკარი, წარმოდგენილი დირექტორის **თეიმურაზ ასათიანის** სახით, ხოლო მეორე მხრივ, **სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი** მის: ქ. ზუგდიდი,ჯანაშიას ქ. 14 (შემდგომში „უნივერსიტეტი") წარმოდგენილი რექტორის **თეონა ხუფენიას** სახით, შემდგომში მხარეებად წოდებული, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წესდებების, წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად, მხედველობაში ვიღებთ რა ქვეყნის ეკონომიკისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის და კოლეჯებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მიზნით ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი და საგანი

1.1. მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი აგრარული და სხვა მიმართულებების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის „მეხილეობის" მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზება და ხელშეწყობა.

1.2. მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენთა მობილობის პროცესის ორგანიზება და ხელშეწყობა.

1.3. პროფესიული სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და მემორანდუმის თითოეული მხარის მიერ შემუშავებული და დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 2. მემორანდუმის მოქმედების ვადა

2.1. მემორანდუმი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 5 წლის ვადით;

2.2.მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით, წერილობითი ფორმით შედგენილი შეთანხმების გაფორმების შედეგად.

2.3.მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს მემორანდუმის შეწყვეტის შესახებ ერთი თვით ადრე.

მუხლი 3. დავის გადაწყვეტის წესი

3.1. მემორანდუმის მხარეთაშორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და დგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

4.1.მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმებული ცვლილებები ან დამატებები უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და დაერთოს წინამდებარე მემორანდუმს.

4.2. მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ორი, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული ეგზემპლარი გადაეცემა მემორანდუმის თითოეულ მხარეს.

მხარეები:

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი"

მის: მცხეთის რაიონი სოფ. წინამძღვრიაანთკარი.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვებ. გვერდი: tmk.edu.ge

ელ. ფოსტა: tmkcommunitycollege@gmail.com

ტელ: 032 2 103029

დირექტორი:

თ. ასათიანი

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მის: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14

საკონტაქტო ინფორმაცია:

ვებ. გვერდი: zssu.ge

ელ. ფოსტა: zssuedu@gmail.com

ტელ: (+995 415) 25 62 17

რექტორი:

თ.ხუფენია